

შპს „კასკო 2015“

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს “კასკო 2015“-ის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “კასკო 2015” (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებულ სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენის აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული მოსაზრების გამოსათქმელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება ჯგუფი.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ამასთან, მმართველობის ანგარიშგება თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის მოსაზრება, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს

იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან კონსოლიდირებული მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის მოსაზრებაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები ეყრდნობა აუდიტორის მოსაზრების თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მამასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორთა მოსაზრებაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის მოსაზრებაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ მოსაზრებაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

ლევან აგლაძე

შპს თიემსი

17 დეკემბერი 2019

თბილისი, საქართველო

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორთა მოსაზრებაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის მოსაზრებაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ მოსაზრებაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი

ლევან აგლაძე
შპს თიემსი
17 დეკემბერი 2019

თბილისი, საქართველო



შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის
თარიღისთვის


	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,794,424	6,676,169
არამატერიალური აქტივები	5	7,401	8,454
		6,801,825	6,684,623
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მარაგები	6	5,957,532	8,351,683
სასესხო მოთხოვნები		1,338,300	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	7,284,784	5,553,081
ფული და მისი ექვივალენტები	8	3,327,316	5,583,507
		17,907,932	19,488,271
სულ აქტივები		24,709,757	26,172,894
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	6,731,545	9,127,959
მოკლევადიანი სესხები	10	6,699,200	8,435,575
		13,430,745	17,563,534
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,128,599	3,102,999
აკუმულირებული მოგება/ზარალი		5,256,813	3,610,332
მშობელი საწარმოს კუთვნილი კაპიტალი		9,385,412	6,713,331
არამაკონტროლებელი წილი		1,893,600	1,896,029
		11,279,012	8,609,360
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		24,709,757	26,172,894

შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,794,424	6,676,169
არამატერიალური აქტივები	5	7,401	8,454
		6,801,825	6,684,623
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მარაგები	6	5,957,532	8,351,683
სასესხო მოთხოვნები		1,338,300	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	7,284,784	5,553,081
ფული და მისი ექვივალენტები	8	3,327,316	5,583,507
		17,907,932	19,488,271
სულ აქტივები		24,709,757	26,172,894
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	6,731,545	9,127,959
მოკლევადიანი სესხები	10	6,699,200	8,435,575
		13,430,745	17,563,534
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,128,599	3,102,999
აკუმულირებული მოგება/ზარალი		5,256,813	3,610,332
მშობელი საწარმოს კუთვნილი კაპიტალი		9,385,412	6,713,331
არამაკონტროლებელი წილი		1,893,600	1,896,029
		11,279,012	8,609,360
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		24,709,757	26,172,894

შპს „კასკო 2015“-ის
დირექტორი მამუკა მინდიაშვილი



შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018
პერიოდისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები		56,647,517	58,206,029
ამონაგების თვითღირებულება	11	(51,743,615)	(52,250,712)
საერთო მოგება		4,903,902	5,955,317
მიწოდების ხარჯი	12	(1,699,747)	(1,396,405)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(971,004)	(884,264)
ფინანსური ხარჯები, ნეტო	14	(348,328)	(306,660)
სხვა შემოსავალი / (ზარალი)	15	464,910	(361,916)
მოგება დაბეგვრამდე		2,349,733	3,006,072
მოგების გადასახადი		(50,944)	(32,735)
წმინდა მოგება/ზარალი		2,298,789	2,973,337
<i>პერიოდის წმინდა მოგება ეკუთვნის:</i>			
კომპანიის მფლობელებს		2,301,218	2,973,733
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(2,429)	(396)

შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018
პერიოდისთვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები		56,647,517	58,206,029
ამონაგების თვითღირებულება	11	(51,743,615)	(52,250,712)
საერთო მოგება		4,903,902	5,955,317
მიწოდების ხარჯი	12	(1,699,747)	(1,396,405)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(971,004)	(884,264)
ფინანსური ხარჯები, ნეტო	14	(348,328)	(306,660)
სხვა შემოსავალი / (ზარალი)	15	464,910	(361,916)
მოგება დაბეგვრამდე		2,349,733	3,006,072
მოგების გადასახადი		(50,944)	(32,735)
წმინდა მოგება/ზარალი		2,298,789	2,973,337
<i>პერიოდის წმინდა მოგება ეკუთვნის:</i>			
კომპანიის მფლობელებს		2,301,218	2,973,733
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(2,429)	(396)

შპს „კასკო 2015“-ის
დირექტორი მამუკა მინდიაშვილი



შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის

	2018 ლარი	2017 ლარი
საოპერაციო საქმიანობა:		
წმინდა მოგება	2,298,789	2,973,337
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	146,114	138,068
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	(4,519)	(16,558)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	9,762	24,800
მარაგის დანაკარგები	49,421	99,975
ზარალი /(მოგება) კურსთაშორის სხვაობიდან	(229,636)	380,416
საპროცენტო ხარჯი	278,152	321,517
მოგების გადასახადი	50,944	32,735
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2,599,027	3,954,290
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,741,465)	(1,692,468)
შემცირება / (ზრდა) მარაგებში	2,344,730	(3,184,204)
(შემცირება) / ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,999,964)	6,336,415
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,202,328	5,414,033
გადახდილი პროცენტი	(281,377)	(328,674)
გადახდილი მოგების გადასახადი	(32,735)	(21,455)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	888,216	5,063,904
საინვესტიციო საქმიანობა:		
სესხის გაცემა	(1,232,350)	-
შვილობილი საწარმოს შეძენა	-	(4,327,889)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(6,728)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(272,366)	(468,065)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	13,569	59,537
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,491,147)	(4,743,145)

შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის

	2018 ლარი	2017 ლარი
საოპერაციო საქმიანობა:		
წმინდა მოგება	2,298,789	2,973,337
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	146,114	138,068
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	(4,519)	(16,558)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	9,762	24,800
მარაგის დანაკარგები	49,421	99,975
ზარალი / (მოგება) კურსთაშორის სხვაობიდან	(229,636)	380,416
საპროცენტო ხარჯი	278,152	321,517
მოგების გადასახადი	50,944	32,735
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2,599,027	3,954,290
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,741,465)	(1,692,468)
შემცირება / (ზრდა) მარაგებში	2,344,730	(3,184,204)
(შემცირება) / ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,999,964)	6,336,415
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,202,328	5,414,033
გადახდილი პროცენტი	(281,377)	(328,674)
გადახდილი მოგების გადასახადი	(32,735)	(21,455)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	888,216	5,063,904
საინვესტიციო საქმიანობა:		
სესხის გაცემა	(1,232,350)	-
შვილობილი საწარმოს შეძენა	-	(4,327,889)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(6,728)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(272,366)	(468,065)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	13,569	59,537
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,491,147)	(4,743,145)

შპს „კასკო 2015“-ის
დირექტორი მამუკა მინდიაშვილი



შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის (გაგრძელება)

<i>საფინანსო საქმიანობა:</i>		
საწესდებო კაპიტალის შევსება	1,025,600	1,558,804
საწესდებო კაპიტალის შევსება არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	-	41,600
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,116,154	18,500,040
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(17,083,035)	(20,195,282)
გადახდილი დივიდენდები	(654,737)	(190,737)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,596,018)	(285,575)
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	(2,198,949)	35,184
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	5,583,507	5,628,623
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(57,242)	(80,300)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	3,327,316	5,583,507

შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის (გაგრძელება)

<i>საფინანსო საქმიანობა:</i>		
საწესდებო კაპიტალის შევსება	1,025,600	1,558,804
საწესდებო კაპიტალის შევსება არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	-	41,600
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,116,154	18,500,040
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(17,083,035)	(20,195,282)
გადახდილი დივიდენდები	(654,737)	(190,737)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,596,018)	(285,575)
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	(2,198,949)	35,184
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	5,583,507	5,628,623
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(57,242)	(80,300)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	3,327,316	5,583,507

შპს „კასკო 2015“-ის

დირექტორი მამუკა მინდიაშვილი



შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	ჯამი	არამაკონტრ ოლებელი წილი	ჯამური კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01.01.2017	1,544,195	827,336	2,371,531	-	2,371,531
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,558,804	-	1,558,804	-	1,558,804
არამაკონტროლებელი წილი შვილობილი საწარმოს შესყიდვიდან	-	-	-	1,854,825	1,854,825
საწესდებო კაპიტალის შევსება არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	-	-	-	41,600	41,600
გაცემული დივიდენდები	-	(190,737)	(190,737)	-	(190,737)
პერიოდის მოგება	-	2,973,733	2,973,733	(396)	2,973,337
ნაშთი - 31.12.2017	3,102,999	3,610,332	6,713,331	1,896,029	8,609,360
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,025,600	-	1,025,600	-	1,025,600
გაცემული დივიდენდები	-	(654,737)	(654,737)	-	(654,737)
პერიოდის მოგება	-	2,301,218	2,301,218	(2,429)	2,298,789
ნაშთი - 31.12.2018	4,128,599	5,256,813	9,385,412	1,893,600	11,279,012

შპს „კასკო 2015“

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	ჯამი	არამაკონტრ ოლებელი წილი	ჯამური კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01.01.2017	1,544,195	827,336	2,371,531	-	2,371,531
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,558,804	-	1,558,804	-	1,558,804
არამაკონტროლებელი წილი შვილობილი საწარმოს შესყიდვიდან	-	-	-	1,854,825	1,854,825
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-	41,600	41,600
არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	-	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(190,737)	(190,737)	-	(190,737)
პერიოდის მოგება	-	2,973,733	2,973,733	(396)	2,973,337
ნაშთი - 31.12.2017	3,102,999	3,610,332	6,713,331	1,896,029	8,609,360
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	1,025,600	-	1,025,600	-	1,025,600
გაცემული დივიდენდები	-	(654,737)	(654,737)	-	(654,737)
პერიოდის მოგება	-	2,301,218	2,301,218	(2,429)	2,298,789
ნაშთი - 31.12.2018	4,128,599	5,256,813	9,385,412	1,893,600	11,279,012

შპს „კასკო 2015“-ის
დირექტორი მამუკა მინდიაშვილი



შპს „კასკო 2015“**სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****1. კორპორატიული სტრუქტურა და ძირითადი საქმიანობა**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “კასკო 2015” დაფუძნებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად 2015 წლის 23 მარტს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი 400141627.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის 100%-იანი წილის ბენეფიციარი მფლობელია ლევან კაჭარავა (პ/ნ 16001001270). კომპანიის დირექტორია მამუკა მინდიაშვილი (პ/ნ 01002011016).

კომპანიის მიერ გამოცხადებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 4 128 599 ლარს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, გაგრის ქ. #2.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა გაყინული ხორცპროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაცია.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

შვილობილი	31.12.2018	31.12.2017
შპს "გამა"	70%	70%

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “გამა” დაფუძნებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად 2001 წლის 17 მაისს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი 204425906.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის უმცირესობის წილის მფლობელები არიან ლევან ჭიორელი (პ/ნ 01007005859) – 20% და ლევან ლაფანაშვილი (პ/ნ 01030008439) – 10%.

კომპანიის დირექტორია ლევან ლაფანაშვილი.

კომპანიის მიერ გამოცხადებული და შევსებული საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 6 189 948 ლარს.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, გაგრის ქ. #2.

კომპანიას დღიდან დაფუძნებისა მიწის შეძნის გარდა სხვა ბიზნეს საქმიანობა არ განუხორციელებია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის მიერ საანგარიშგებო პერიოდად მიჩნეულია კალენდარული წელი რომელიც მოიცავს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი რადგან, ლარი როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, სრულად ასახავს ჯგუფის მიერ განხორციელებული ოპერაციების ეკონომიკურ არსს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნით ქართული ლარი არის ანგარიშგების ვალუტა.

შესაბამისობის განცხადება

მიუხედავად იმისა, რომ “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით ჯგუფი წარმოადგენს მეორე კატეგორიის ჯგუფს, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) შესაბამისად ნაცვლად მსს ფასს-ისა. ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, ფასს-1 კომპანიებისგან მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის მოქმედი რედაქციების რეტროსპექტიულ გამოყენებას. წინამდებარე რედაქცია გამოყენებულია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომი პერიოდებისათვის მსს ფასს საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე.

ვინაიდან ჯგუფს არ ევალებოდა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების (ბასაპ) მიხედვით ფინანსური ინფორმაციის მომზადება და ასეთი არ მოუმზადებია, ფინანსურ ანგარიშგებაში წინა ბასაპ-ისა და მსს ფასს-ის შედარება მოცემული არ არის.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

აქტივების ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოური ვალუტის კონვერტირება - ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის სამუშაო ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება იმ პერიოდის სრულ შემოსავლების ანგარიშგებაში როდესაც ისინი წარმოიქმნენ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო / ლარი	3.0701	3.1044

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. საწყისი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებით, დაგროვილ ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის ჯგუფი იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. ჯგუფის მიერ დადგენილია ძირითადი საშუალებების მომსახურების შემდეგი ვადები:

აქტივის ჯგუფი	წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი

ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შეპირისპირებით მის საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები მოიცავს სასაქონლო ნიშანს და კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს. ჯგუფის მიერ არამატერიალურ აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადად დადგენილია 10 წელი. არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით ხოლო შემდგომი საწყისი ღირებულებას მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია.

სასაქონლო მატერიალური მარაგები - სასაქონლო მატერიალური მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. საწყისი აღიარების შემდგომ მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში მარაგების გასაყიდი ფასი შემცირებული მათ გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის ჯგუფი იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადასახადები - მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაშია ყველა ჯგუფისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს და მისი ადმინისტრირება ხდება ყოველთვიურად. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჰყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები - ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების, გაცემული სესხებისა და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები - დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

- (ა) რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც ჯგუფი განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება-სესხები დამოთხოვნები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით - რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:

- (i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
- (ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
- (iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღირებისას ჯგუფის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფის ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:

(i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, ჯგუფს უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

(ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამოებს (ე.წ. „სააღრიცხვო შეუსაბამოებს“), რაც სხვა შემთხვევაში

წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან

- ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება ჯგუფის ფარგლებში, ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები - გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა ან ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. ჯგუფის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

- (i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა - ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა - ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები - ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

მოკლევადიანი მოთხოვნები - მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ფინანსური ვალდებულებები - ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებს.

საწესდებო კაპიტალი - საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია ჯგუფის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო ჯგუფის მფლობელის მიერ.

დივიდენდები - დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

შემოსავლების აღიარება - შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა, კერძოდ:

(ა) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან - შემოსავალი საქონლოს რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

(ბ) სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

შემოსავლები წარდგენილია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, ასევე კორექტირებებისა და ფასდაკლებების გათვალისწინებით.

ხარჯების აღიარება - სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ცვლილებები წარდგენაში

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. ამასთან კორექტირებების დიდ ნაწილს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეკლასიფიკაცია. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილებში:

	კორექტირებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6,676,169	(54,133)	6,730,302
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,553,081	67,869	5,485,212
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	(247)	247
ფული და მისი ეკვივალენტები	5,583,507	1,991	5,581,516
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,127,959	756,720	8,371,239
მოკლევადიანი სესხები	8,435,575	10,925	8,424,650
საგადასახადო ვალდებულებები	-	(756,720)	756,720
გადავადებული მოგების გადასახადი	-	(445,367)	445,367
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3,102,999	(1,854,825)	4,957,824
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	3,610,332	408,718	3,201,614
			-
არამაკონტროლებელი წილი	1,896,029	1,896,029	

	კორექტირებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წინა წლის აუდირებული მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
ამონაგები	58,206,029	-	58,206,029
ამონაგების თვითღირებულება	(52,250,712)	(921,465)	(51,329,247)
საერთო მოგება	5,955,317	(921,465)	6,876,782
მიწოდების ხარჯი	(1,396,405)	(903,098)	(493,307)
ადმინისტრაციული ხარჯები	(884,264)	1,696,098	(2,580,362)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	138,069	(138,069)
ფინანსური ხარჯები ნეტო	(306,660)	(306,660)	-
სხვა შემოსავალი/(ზარალი)	(361,916)	(361,916)	-
არასაოპერაციო შემოსავლები	-	(48,848)	48,848
არასაოპერაციო ხარჯები	-	688,857	(688,857)
მოგება დაბეგვრამდე	3,006,072	(18,963)	3,025,035
მოგების გადასახადი	(32,735)	445,367	(478,102)
წმინდა მოგება/(ზარალი)	2,973,337	426,404	2,546,933
პერიოდის წმინდა მოგების მიკუთვნება:			
კომპანიის მფლობელებზე	2,973,733	2,973,733	-
არამაკონტროლებელ წილზე	(396)	(396)	-

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები - არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული - ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ჯგუფს არ დაუნერგავს, ნაადრევად ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა ჯგუფის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ეს სტანდარტებია:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. თუმცა დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისაა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგს, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე

გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 16 - იჯარა. ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ ამჟამად მოქმედ პრინციპებს, მათ შორის ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად სახსრებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება. ფაისკ 22 არეგულირებს აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გამოსაყენებელი გაცვლითი კურსის დასადგენად ტრანზაქციის თარიღის განსაზღვრას, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება წინასწარ გადახდილი ან მიღებულია უცხოურ ვალუტაში და ამან გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი

ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანია პირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდიდან ან მიღებიდან წარმოშობილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თუ საქმე ეხება რამდენიმე საავანსო გადახდას ან გადახდის მიღებას, ინტერპრეტაცია კომპანიებს ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღი დაადგინოს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების თითოეული შემთხვევისათვის.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. კომპანიებს ინტერპრეტაციის გამოყენება შეუძლიათ რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. პროსპექტიული გამოყენებისას ძალაში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

შესწორებები ბასს 40 „საინვესტიციო ქონების გადაცემა“. შესწორებები მიზნად ისახავს იმის განმარტებას, რომ კომპანიას ქონების რეკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად ან პირიქით შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ადგილი ჰქონდა ქონების გამოყენების ფორმის ცვლილებას. შესწორებები ხაზს უსვამს, რომ გამოყენების ფორმის ცვლილების მტკიცებულება შეიძლება განსხვავდებოდეს ბასს 40-ში ჩამოთვლილთაგან და რომ გამოყენების ფორმის ცვლილება შესაძლებელია მიმდინარე მშენებლობებისათვის (ანუ გამოყენების ფორმის ცვლილება არ ვრცელდება მხოლოდ დასრულებულ ქონებაზე).

შესწორებები ეხება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. ადრეული გამოყენება ნებადართულია. კომპანიას შეუძლია შესწორება გამოიყენოს რეტროსპექტიულად (თუ ეს შესაძლებელია „წინა რიცხვით ცოდნის“ ეფექტის გარეშე) ან პროსპექტიულად. მოქმედებს გარდამავალი დებულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებათა გამოყენებამ შეიძლება არსებითი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში, ქონების გამოყენების ფორმის ცვლილების შემთხვევაში.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი. წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ფასს 1 და ბასს 28-ში, რომლებიც ჯერ კომპანიისათვის სავალდებულო არ არის. პაკეტში აგრეთვე შედის ფასს 12-ის შესწორება, რომელიც უკვე სავალდებულოა მიმდინარე წელს - გამოყენების დეტალები იხილეთ ქვეთავში ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოქმედი ფასს-ების თაობაზე.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციას და მსგავს პირებს შეუძლიათ მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში არსებული მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ინვესტიციები ასახონ ინდივიდუალურად თითოეული მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოსათვის. ეს არჩევანი კომპანიამ უნდა გააკეთოს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას. ისეთი პირის ოფიის შემთხვევაში, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მისი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების, ამავდროულად, საინვესტიციო კომპანიების მიერ გამოყენებული რეალური ღირებულებით ასახვის შენარჩუნების თავისუფლება, მაშინ, როდესაც თავად კომპანია წრფივ მეთოდს იყენებს, შესწორება ასევე განმარტავს, რომ კომპანიას ამ მიდგომის გამოყენება შეუძლია თითოეული მეკავშირე და ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი პირები საინვესტიციო კომპანიებია. შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

როგორც ფასს 1-ის, აგრეთვე ბასს 28-ის შესწორებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანია ამჟამად ფასს-ებს უკვე იყენებს და არც ვენჩურული კაპიტალით დაფუძნებული ორგანიზაციაა. გარდა ამისა, კომპანიას არ გააჩნია დაკავშირებული პირი ან ერთობლივი საწარმო, რომელიც თავად იქნებოდა საინვესტიციო კომპანია.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2018 წწ. ციკლი. ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2018 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები	მიმდინარე მშენებლობ ა	ჯამი
<i>თვითღირებულება:</i>							
1 იანვარი 2017 წ.	-	39,926	7,817	-	270,853	-	318,596
შემოსვლა	5,584,065	68,156	45,356	4,624	316,365	544,552	6,563,118
გასვლა	-	(39,926)	-	-	(19,915)		(59,841)
31 დეკემბერი 2017 წ.	5,584,065	68,156	53,173	4,624	567,303	544,552	6,821,873
შემოსვლა	-	2,102	3,334	-	254,961	11,969	272,366
გასვლა	-	(3,644)	-	-	(12,356)	-	(16,000)
31 დეკემბერი 2018 წ.	5,584,065	66,614	56,507	4,624	809,908	556,521	7,078,239
<i>დაგროვილი ცვეთა:</i>							
1 იანვარი 2017 წ.	-	11,091	1,727	-	12,733	-	25,551
წლიური ცვეთა	-	17,908	16,281	1,475	101,351	-	137,015
გასული აქტივების ცვეთა	-	(11,756)	-	-	(5,106)	-	(16,862)
31 დეკემბერი 2017 წ.		17,243	18,008	1,475	108,978	-	145,704
წლიური ცვეთა		17,760	17,730	1,541	108,030	-	145,061
გასული აქტივების ცვეთა		(1,109)	-	-	(5,841)	-	(6,950)
31 დეკემბერი 2018 წ.		33,894	35,738	3,016	211,167	-	283,815
<i>საბალანსო ღირებულება:</i>							
1 იანვარი 2017 წ.	-	28,835	6,090	-	258,120	-	293,045
31 დეკემბერი 2017 წ.	5,584,065	50,913	35,165	3,149	458,325	544,552	6,676,169
31 დეკემბერი 2018 წ.	5,584,065	32,720	20,769	1,608	598,741	556,521	6,794,424

5. არამატერიალური აქტივები

	სასაქონლო ნიშანი	კომპიუტერული პროგრამები	ჯამი
<i>თვითღირებულება:</i>			
1 იანვარი 2017 წ.	-	3,807	3,807
შემოსვლა	3,983	2,745	6,728
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2017 წ.	3,983	6,552	10,535
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	3,983	6,552	10,535
<i>დაგროვილი ცვეთა:</i>			
1 იანვარი 2017 წ.	-	1,028	1,028
წლიური ცვეთა	398	655	1,053
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-
31 დეკემბერი 2017 წ.	398	1,683	2,081
წლიური ცვეთა	398	655	1,053
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-
31 დეკემბერი 2018 წ.	796	2,338	3,134
<i>საბალანსო ღირებულებ:</i>			
1 იანვარი 2017 წ.	-	2,779	2,779
31 დეკემბერი 2017 წ.	3,585	4,869	8,454
31 დეკემბერი 2018 წ.	3,187	4,214	7,401

ცვეთის და ამორტიზაციის
განაწილება:

	2018 ლარი	2017 ლარი
მიწოდების ხარჯი	126,032	119,621
ადმინისტრაციული ხარჯი	9,245	8,903
ამონაგების თვითღირებულება	10,837	9,544
	146,114	138,068

6. სასაქონლო მარაგები

	2018 ლარი	2017 ლარი
საქონელი	4,806,478	6,334,103
საქონელი გზაში	1,119,867	2,004,774
ნედლეული და მასალები	10,650	11,059
დაუმთავრებელი წარმოება	837	1,747
სათადარიგო ნაწილები	19,700	-
	5,957,532	8,351,683

7. საეჭვო და სხვა მოთხოვნები

	2018 ლარი	2017 ლარი
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	7,025,347	5,298,662
გადახდილი ავანსები	207,707	186,460
საგადასახადო აქტივი	86,177	92,422
სხვა მოთხოვნები	115	337
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(34,562)	(24,800)
	7,284,784	5,553,081

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი

01.01.2017

-

ზრდა წლის განმავლობაში

24,800

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი

24,800

31.12.2017

ზრდა წლის განმავლობაში

9,762

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი

31.12.2018

34,562

8. ფული და მისი ექვივალენტები

	2018	2017
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული	5,123	8,492
ფული საბანკო ანგარიშებზე	513,262	225,015
ანაბარი მოთხოვნამდე	2,808,931	5,350,000
	3,327,316	5,583,507

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
	ლარი	ლარი
მომწოდებლების ვალდებულებები	6,244,384	8,361,640
მიღებული ავანსები	2,001	-
გადასახდელი ხელფასები	15,508	9,599
საგადასახადო ვალდებულებები	469,652	756,720
	6,731,545	9,127,959

10. მოკლევადიანი სესხები

	2018	2017
	ლარი	ლარი
დაგროვილი პროცენტი	7,700	10,925
მოკლევადიანი სესხები	6,691,500	8,424,650
	6,699,200	8,435,575

სესხების დაფარვის ვადები არის შემდეგი:

	2018 ლარი	2017 ლარი
დაფარვის ვადა:		
1 წლამდე	6,699,200	8,435,575
1 დან 3 წლამდე	-	-
3 წლის შემდეგ	-	-
	6,699,200	8,435,575

სესხები დენომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	2018 ლარი	2017 ლარი
დენომინირებულია:		
აშშ დოლარი	6,699,200	8,435,575
	6,699,200	8,435,575

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ სასესხო ვალდებულებების დეტალები, რომლებსაც ჯგუფი ემსახურებოდა 2017 და 2018 წლებში შესაბამისად.

2017 წლის განმავლობაში არსებული სასესხო ვალდებულებები:

	ხელშეკრულების #	ტიპი	დენომინაციის ვალუტა	ლიმიტი დენომინაციის ვალუტაში	დასრულება	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	01.01.2017 ლარი	31.12.2017 ლარი
სს საქართველოს ბანკი	# 3927021	რევოლვირებადი	ლარი	4000000	2017	0	11.00%	4,018,082	-
სს საქართველოს ბანკი	# 4146472	რევოლვირებადი	ლარი	3000000	2017	0	13.08%	-	-
სს საქართველოს ბანკი	# 4911721	რევოლვირებადი	აშშ დოლარი	2500000	2018	6 თვიან LIBOR-ს + 5.4% (არანაკლებ 7%)	7.52%	-	6,487,957
სს საქართველოს ბანკი	# 5049320	რევოლვირებადი	აშშ დოლარი	100000	2018	6 თვიან LIBOR-ს + 5.4% (არანაკლებ 7%)	7.52%	-	1,947,618
								4,018,082	8,435,575

2018 წლის განმავლობაში არსებული სასესხო ვალდებულებები:

	ხელშეკრულების #	ტიპი	დენომინაციის ვალუტა	ლიმიტი დენომინაციის ვალუტაში	დასრულებული	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	01.01.2018 ლარი	31.12.2018 ლარი
სს საქართველოს ბანკი	# 4911721	რევოლვირებადი	აშშ დოლარი	2500000	2,019	6 თვიან LIBOR-ს + 5.4% (არანაკლებ 7%)	7.04%	6,487,957	6,699,200
სს საქართველოს ბანკი	# 5049320	რევოლვირებადი	აშშ დოლარი	100000	2,018	6 თვიან LIBOR-ს + 5.4% (არანაკლებ 7%)	8.45%	1,947,618	-
								8,435,575	6,699,200

11. ამონაგების თვითღირებულება

	2018 ლარი	2017 ლარი
რეალიზებული საქონელი და პირდაპირი მასალები	50,735,261	51,235,433
საქონლის დაბინავება და შენახვა	823,425	781,851
წარმოების ხელფასი	88,541	89,430
საწარმოო ფართის იჯარა	36,130	34,479
მარაგის დანაკარგები	49,421	99,975
ცვეთა და ამორტიზაცია	10,837	9,544
	51,743,615	52,250,712

12. მიწოდების ხარჯი

	2018 ლარი	2017 ლარი
რეკლამის ხარჯი	474,311	245,033
საწვავის ხარჯი	286,641	248,274
ავტომობილების რემონტის ხარჯი	149,474	94,752
შრომის ანაზღაურება	590,238	601,339
ჯი-პი-ეს მომსახურება	11,003	11,201
ავტომობილების იჯარა	30,313	23,125
ცვეთა და ამორტიზაცია	126,032	119,621
საგადასახადო ხარჯი (მოგების გადასახადის გარდა)	5,686	4,203
საექვო მოთხოვნების ხარჯი	9,762	24,800
მიწოდების სხვა ხარჯი	16,287	24,057
	1,699,747	1,396,405

13. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 ლარი	2017 ლარი
შრომის ანაზღაურება	800,509	707,028
საიჯარო ხარჯი	44,358	40,340
საოფისე ინვენტარი და საკანცელარიო ხარჯი	10,824	11,631
საბანკო მომსახურების ხარჯი	22,097	57,152
საგადასახადო ხარჯი (მოგების გადასახადის გარდა)	8,075	1,280
სადაზღვევო ხარჯი	5,536	2,111
კომუნიკაციის ხარჯი	1,266	1,426
საკონსულტაციო და სანოტარო ხარჯი	37,860	24,344
ცვეთა და ამორტიზაცია	9,245	8,903
სხვადასხვა ხარჯი	31,234	30,049
	971,004	884,264

14. ფინანსური ხარჯები, ნეტო

	2018	2017
	ლარი	ლარი
საპროცენტო ხარჯი	278,152	321,517
საპროცენტო შემოსავალი	(163,555)	(23,187)
სასესხო ვადებულებების სავალუტო გადაფასება	233,731	8,330
	348,328	306,660

15. სხვა შემოსავალი/(ხარჯი)

	2018	2017
	ლარი	ლარი
სავალუტო კურსთაშორის სხვაობა	(463,367)	372,086
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	(4,519)	(16,558)
საქველმოქმედო ხარჯი	2,784	10,394
სხვა	192	(4,006)
	(464,910)	361,916

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლვადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა

და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	2018	2017
<i>სესხები და მოთხოვნები:</i>	ლარი	ლარი
სასესხო მოთხოვნები	1,338,300	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,990,785	5,273,862
ფული და მისი ექვივალენტები	3,317,145	5,581,516
	11,646,230	10,855,378
 ფინანსური ვალდებულებები	 2018	 2017
<i>ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული:</i>	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,259,892	8,371,239
სასესხო ვალდებულებები	6,699,200	8,435,575
	12,959,092	16,806,814

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	2018	2017
<i>სესხები და მოთხოვნები:</i>	ლარი	ლარი
სასესხო მოთხოვნები	1,338,300	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,990,785	5,273,862
ფული და მისი ექვივალენტები	3,317,145	5,581,516
	11,646,230	10,855,378

დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია მე-8-ე განმარტებით შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება გრძელვადიანი ვალდებულებებით.

მიმდინარე კონტრაქტუალური დაფარვის ვადები ჯგუფის ფინანსურ ვალდებულებებზე მოყვანილია ქვემოთ ცხრილში. ცხრილი მომზადებულია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული მომავალი სახდელების უახლოესი დაფარვის ვადების მიხედვით.

	1 თვემდე	1-3 თვემდე	3 -12 თვემდე	სულ
<i>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,770,003	3,601,236	-	8,371,239
სასესხო ვალდებულებები	50,086	95,325	8,816,053	8,961,464
	4,820,089	3,696,561	8,816,053	17,332,703
<i>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,869,854	2,390,038	-	6,259,892
სასესხო ვალდებულებები	39,782	75,715	7,015,919	7,131,416
	3,909,636	2,465,753	7,015,919	13,391,308

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. ჯგუფის სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიზნულია 6 თვიანი LIBOR-ის განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

31.12.2017	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები:</i>				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	850,455	-	4,423,407	5,273,862
ფული და მისი ექვივალენტები	50	3	5,583,454	5,583,507
	850,505	3	10,006,861	10,857,369
<i>ფინანსური ვალდებულებები:</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,193,987	25,146	152,106	8,371,239
სასესხო ვალდებულებები	8,435,575	-	-	8,435,575
	16,629,562	25,146	152,106	16,806,814
წმინდა სავალუტო პოზიცია	(15,779,057)	(25,143)	9,854,755	(5,949,445)

31.12.2018	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
<i>ფინანსური აქტივები:</i>				
სასესხო მოთხოვნები	1,338,300	-	-	1,338,300
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,369,789	48,741	5,572,255	6,990,785
ფული და მისი ექვივალენტები	220,374	11	3,106,931	3,327,316
	2,928,463	48,752	8,679,186	11,656,401
<i>ფინანსური ვალდებულებები:</i>				
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,776,086	130,757	353,049	6,259,892
სასესხო ვალდებულებები	6,699,200	-	-	6,699,200
	12,475,286	130,757	353,049	12,959,092
წმინდა სავალუტო პოზიცია	(9,546,823)	(82,005)	8,326,137	(1,302,691)

სავალუტო რისკის მართვა (მგრძნობელობის ანალიზი)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იანი ზრდის შემთხვევაში და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

მგრძნობელობის ანალიზის გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

მგრძნობელობითი ანალიზი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
<i>ზარალი სავალუტო გადაფასებიდან:</i>			
2017	1,577,906	2,514	1,580,420
2018	954,682	8,201	962,883

17. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის ზემო პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ზემო პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. საანგარიშო პერიდში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულ ოპერაციებია:

	კომპანიის მფლობელი	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა
<i>ნაშთები 31.12.2017-ს მდგომარეობით:</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	-	(137,130)	-
გადასახდელი ხელფასი	-	-	-
	-	(137,130)	-
<i>2017 წელს განხორციელებული ოპერაციები:</i>			
გაცემული დივიდენდი	190,737	-	-
მომსახურების შესყიდვა - საქონლის დაცლა, დატვირთვა, დაბინავება და შენახვა	-	1,310,043	-
საწარმოო ფართის იჯარა	-	34,479	-
საოფისე ფართის იჯარა	-	40,340	-
სახელფასო ანაზღაურება	-	-	105,403
	190,737	1,384,862	105,403

	კომპანიის მფლობელი	სხვა დაკავშირებული მხარეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა
<i>ნაშთები 31.12.2018-ს მდგომარეობით:</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	-	(137,220)	-
გადასახდელი ხელფასი	-	-	-
	-	(137,220)	-
<i>2018 წელს განხორციელებული ოპერაციები:</i>			
გაცემული დივიდენდი	654,737	-	-
მომსახურების შესყიდვა - საქონლის დაცლა, დატვირთვა, დაბინავება და შენახვა	-	1,498,891	-
საწარმოო ფართის იჯარა	-	36,130	-
საოფისე ფართის იჯარა	-	44,358	-
სახელფასო ანაზღაურება	-	-	90,750
	654,737	1,579,379	90,750

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

იურიდიული საკითხები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ არის გაკეთებული.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ

შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (25.10.2019) კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 543 334 ლარით.
- მშობელმა კომპანიამ განახორციელა დამატებითი ინვესტიცია შვილობილ საწარმოში 1 137 000 ლარის ოდენობით.
- ჯგუფის მიერ გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა 33 300 ლარით.
- ჯგუფში მიღებული სესხების მოცულობა შემცირდა 6 657 412 ლარით.

შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (25.10.2019) კომპანიაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 543 334 ლარით.
- მშობელმა კომპანიამ განახორციელა დამატებითი ინვესტიცია შვილობილ საწარმოში 1 137 000 ლარის ოდენობით.
- ჯგუფის მიერ გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა 33 300 ლარით.
- ჯგუფში მიღებული სესხების მოცულობა შემცირდა 6 657 412 ლარით.

შპს „კასკო 2015“-ის
დირექტორი მამუკა მინდიაშვილი



შპს კასკო 2015

2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 17 დეკემბერი

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	3
ჯგუფის საქმიანობა, შედეგები და პოზიცია	3
შპს კასკო 2015	3
ძირითადი საქმიანობის აღწერა	3
ბიზნეს მოდელი და გეოგრაფიული არეალი	4
ხორცის მომხარება საქართველოში, მამოძრავებელი ფაქტორები და პერსპექტივა	5
საქართველოს ხორცის ბაზრის სტრუქტურა, კომპანიის პოზიცია ბაზარზე	6
კვლევა-განვითარება	8
კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	8
განვითარების გეგმები	11
შპს გამა	12
ძირითადი საქმიანობის აღწერა	12
ბიზნეს მოდელი	12
კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	12
განვითარების გეგმები	12
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	13
საკრედიტო რისკი	13
ლიკვიდურობის რისკი	14
საბაზრო რისკი	14
ფასების ცვლილების რისკი მსოფლიო ბაზარზე	14
სავალუტო რისკი	15

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს კასკო 2015 (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2015 წლის მარტში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 400141627 საიდენტიფიკაციო კოდით. კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: 0189, გაგრის ქუჩა 2, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ქ. თბილისი, საქართველო.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ბნ. ლევან კაჭარავა (პ/ნ 16001001270). კომპანიის დირექტორია ბნ. მამუკა მინდიაშვილი (პ/ნ 01002011016).

2017 წლის ოქტომბრიდან კომპანია ფლობს შპს გამას (ს/კ 204425906) 70%-იან წილს.

ჯგუფის საქმიანობა, შედეგები და პოზიცია


შპს კასკო 2015

ძირითადი საქმიანობის აღწერა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა გაყინული ხორცპროდუქტებით ვაჭრობაა. ასორტიმენტში ძირითადად იმპორტირებული პროდუქციაა. პროდუქციის შესყიდვა შემდეგი ქვეყნებიდან ხორციელდება: უკრაინა, ბრაზილია, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა.


კომპანიის სასაქონლო ასორტიმენტი შემდეგია: გაყინული ქათმის ბარკალი, გაყინული ქათმი, გაყინული ღორის ხორცი, გაყინული საქონლის ხორცი, გაყინული თევზი და კარაქი. გაყიდვების გაშლა მთლიან გაყიდვებში პროცენტული წილის მიხედვით 2017 და 2018 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

გრაფიკი 1 – კომპანიის გაყიდვების გაშლა საქონლის ტიპის მიხედვით - 2017 წელი



წყარო: ჯგუფის კალკულაცია


გრაფიკი 2 – კომპანიის გაყიდვების გაშლა საქონლის ტიპის მიხედვით - 2018 წელი



წყარო: ჯგუფის კალკულაცია


კომპანიაში ასევე ფუნქციონირებს ნახევარფაბრიკატების საწარმო, რომელიც ძირითადად იმპორტირებულ პროდუქციას აფასობს. 2017 წლის მაისიდან კომპანია ფლობს სამარკო ნიშანს - „სანდო“. სანდოს ნიშნის ქვეშ რეალიზებული პროდუქტის ნაწილი კომპანიის დაკვეთით მზადდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ნაწილი კი კომპანიის ნახევარფაბრიკატების საწარმოში მზადდება. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის და სანდოს სამარკო ნიშნით წარმოებული პროდუქციის წილობრივი მონაცემები მთლიან გაყიდვებში 2017 და 2018 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

გრაფიკი 3 – კომპანიის გაყიდვების გაშლა წარმოების ტიპის მიხედვით - 2017 წელი



წყარო: ჯგუფის კალკულაცია

გრაფიკი 4 – კომპანიის გაყიდვების გაშლა წარმოების ტიპის მიხედვით - 2018 წელი



წყარო: ჯგუფის კალკულაცია

ბიზნეს მოდელი და გეოგრაფიული არეალი

პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად კომპანიის სადისტრიბუციო ქსელით ხდება. სადისტრიბუციო ქსელი 2 ლოგისტიკური ცენტრიდან იმართება, რომლებიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფოთში და თბილისში. 2019 წლის მეორე ნახევრიდან კომპანიამ ფოთში საკუთარი სამაცივრე მეურნეობაც მოაწყო და შეამცირა იჯარით აღებული სამაცივრე ფართი. თითქმის დასრულებულია ასევე კომპანიის კუთვნილი სამაცივრე მეურნეობის მოწყობა თელავში, რომელიც ოპერირებას 2020 წლიდან დაიწყებს.

ლოგისტიკურ ცენტრებში განთავსებულია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ინდუსტრიული მაცივარი, სადაც საწყობდება კომპანიის სასაქონლო მარაგები. ამ ცენტრებიდან კომპანია საკუთარი სპეციალიზებული სატვირთო ავტომობილებით ამარაგებს 5 ათასამდე სავაჭრო ობიექტს და ათეულობით კვების დაწესებულებას და საწარმოს მთელი საქართველოს მასშტაბით.

რეგიონებს რომელსაც კომპანიის სადისტრიბუციო ქსელი ამ ეტაპზე ვერ ფარავს, კომპანია პროდუქციას აწვდის საბითუმო გაყიდვებით.


კომპანიას პროდუქცია ექსპორტზე/რე-ექსპორტზეც გააქვს. საექსპორტო ბაზარი მოიცავს სომხეთს, ყაზახეთს, თურქმენეთს და სხვა ქვეყნებს. რეექსპორტის წილი კომპანიის მთლიან გაყიდვებში 2.9% და 9.4% იყო 2017 წლის და 2018 წლის განმავლობაში შესაბამისად.

ხორცის მოხმარება საქართველოში, მამოძრავებელი ფაქტორები და პერსპექტივა

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით საქართველო 1 სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარების მაჩვენებლით ბოლო ადგილზეა ევროპაში. 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 1 სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარება დიდად არ შეცვლილა და დაახლოებით 24 კილოგრამს შეადგენს ყოველწლიურად (წყარო: ჯგუფის კალკულაცია საქსტატის და UN COMTRADE სტატისტიკის ინფორმაციაზე დაყრდნობით). მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელს და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს, რაც წელიწადში 43 კილოგრამს შეადგენდა 2013 წლის ბოლოს მდგომარეობით (წყარო: FAO).

ხორცის მოხმარების ძირითადი მამოძრავებელი მოსახლეობის შემოსავლებია. ბოლო ათწლეული განმავლობაში ქართული ეკონომიკა სტაბილურად იზრდებოდა. შინამეურნეობების შემოსავლების ნომინალური საშუალო წლიური ზრდა (CAGR) 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 7.8%-ია (წყარო: ჯგუფის კალკულაცია საქსტატის ინფორმაციაზე დაყრდნობით). ხორცის ფასებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა იგივე პერიოდში, რამაც განაპირობა ხორცის მოხმარების მაჩვენებლის უცვლელ ნიშნულზე შენარჩუნება. გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია პროდუქციის ტიპის მიხედვით გაშლილი საქართველოს ხორცის ფასების ინდექსი 2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

გრაფიკი 5 – სამომხმარებლო ფასების ინდექსი (01.2015 = 100), გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით



წყარო: ჯგუფის კალკულაცია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით

მიუხედავად მზარდი ფასებისა, კომპანიის მენეჯმენტი ფიქრობს, რომ საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლების ზრდა საშუალოვადიან პერსპექტივაში გადაითარგმნება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში და ხორცის მოხმარება წლიურად 5%-ით გაიზრდება.


გრძელვადიან პერსპექტივაში ხორცის საშუალო წლიური მოხმარება მიუახლოვდება აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელს, რაც საშუალოდ 1 სულ მოსახლეზე წლიურად 66 კილოგრამია.

საქართველოს ხორცის ბაზრის სტრუქტურა, კომპანიის პოზიცია ბაზარზე

ხორცპროდუქტების ადგილობრივი წარმოება მცირეა. ქართული ფერმერული ინდუსტრია მეტნაკლებად ახერხებს ბაზარს მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონლის ხორცი მიაწოდოს, ღორის და ქათმის ხორცის შემთხვევაში კი ადგილობრივად წარმოებული პროდუქტის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ბაზარს, შესაბამისად ჩნდება მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელზე.

ქართულ ბაზარზე მიწოდებული პროდუქციის გაშლა წარმომავლობის მიხედვით 2017 და 2018 წლისთვის მოცემულია ქვემოთ.


გრაფიკი 6 – ხორცის წარმომავლობა საქართველოს ბაზარზე, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით



წყარო: ჩვეულის კალკულაცია UN COMTRADE-ის და საქსტატი-ს მონაცემებზე დაყრდნობით

იმპორტირებული პროდუქცია მნიშვნელოვნად იაფია ადგილობრივად წარმოებულზე. გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია თუ რამდენად ადგენდება ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ფასი იმპორტირებული პროდუქციის ფასს.

გრაფიკი 7 – ადგილობრივი ფასის ფარდობა იმპორტირებულ ფასთან, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით




წყარო: ჯგუფის კალკულაცია UN COMTRADE-ის და FAOSTAT-ის მონაცემებზე დაყრდნობით


კომპანია ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს საბაზრო დეფიციტის შევსება იმპორტირებული პროდუქციით და გაზარდოს საკუთარი წილი საქართველოს ხორცის ბაზარზე. კომპანია აკონტროლებდა იმპორტირებული ხორცის ბაზრის 24.1%-ს და 26.5%-ს, ხოლო მთლიანი ხორცის ბაზრის 14.5%-ს და 14.8%-ს, 2017 და 2018 წლის ბოლოსთვის შესაბამისად.

პროდუქციის ტიპის მიხედვით გაშლილი კომპანიის საბაზრო წილები 2017 და 2018 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

გრაფიკი 8 – კომპანიის საბაზრო წილი საქართველოს ხორცის ბაზარზე მთლიანად (იმპორტი და ადგილობრივი წარმოება) 2017 და 2018 წლებისთვის, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით



გრაფიკი 9 – კომპანიის საბაზრო წილი საქართველოს იმპორტირებული ხორცის ბაზარზე 2017 და 2018 წლებისთვის, გაშლილი პროდუქციის ტიპის მიხედვით



წყარო: ჯგუფის კალკულაცია UN COMTRADE-ის და საქსტატი-ს მონაცემებზე დაყრდნობით

კვლევა-განვითარება

კომპანია მუდმივ რეჟიმში იკვლევს ბაზარზე არსებულ ტენდენციებსა და მოთხოვნებს. საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე ხდება ახალი პროდუქტების სპეციფიკაციების შემუშავება და შეთავაზება ბაზრისთვის. აღნიშნული ეხება კომპანიის ნახევარფაბრიკატების საწარმოში ადგილობრივი ბაზრისთვის დამზადებული პროდუქციას. სხვა კვლევა-განვითარების სამუშაოებს კომპანია არ აწარმოებს.

კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს კომპანიის მომგებიანობის, ლიკვიდურობის და სხვა მაჩვენებლებს, რათა უზრუნველყოს მოგების მაქსიმიზაცია და კომპანიის რესურსების ოპტიმალური გამოყენება მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

2018 წელი კომპანიამ 2,306,885 ლარის ოდენობის წმინდა მოგებით დაასრულა, რაც წინა, 2017 წლის წმინდა მოგებასთან შედარებით 22.4%-ით შემცირებული მონაცემია.

2018 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 79 ადამიანი (თანამშრომელთა საშუალო თვიური რაოდენობა წლის განმავლობაში) რაც წინა, 2017 წლის დასაქმებულთა საშუალო თვიურ რაოდენობასთან შედარებით (80 ადამიანი) 1 თანამშრომლით ნაკლებია.

ცხრილებში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი მაჩვენებლები მენეჯმენტის კომენტარებით, რომლებიც მენეჯმენტის აზრით სრულად აღწერს 2018 წლის განმავლობაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს და კომპანიის მიერ მიღებულ შედეგებს. მაჩვენებლები მომზადებულია აუდირებული ფინანსურ ანგარიშგების მონაცემების მიხედვით.

მომგებიანობის მაჩვენებლები

ცხრილი 1	2018	2017	ცვლილება %	მენეჯმენტის კომენტარი
ამონაგები ადგილობრივი გაყიდვებიდან	51,344,318	56,538,818	-9.2%	4.5%-ით არის შემცირებული კომპანიის მიერ რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა. რაოდენობრივი კლება იმპორტირებული ხორცის ბაზარზე 13.1% იყო, რაც ნაწილობრივ საქართველოში წარმოებული ხორციტ ჩანაცვლდა. შემცირებული გაყიდვების პირობებში გაიზარდა წნეხი სარეალიზაციო ფასებზე.
ადგილობრივად გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(46,491,093)	(50,716,942)	-8.3%	განსაკუთრებით იმპორტის მზარდი ფასების პირობებში ყოველივე აღნიშნულმა საერთო მარჟის დაახლოებით 1%-იანი შემცირება გამოიწვია.
საერთო მარჟა ადგილობრივი გაყიდვებიდან	9.5%	10.3%	-8.2%	
ამონაგები რეექსპორტზე გაყიდვებიდან	5,303,199	1,667,211	218.1%	სასაქონლო მარაგების რეალიზაცია, რომელსაც ადგილობრივი ბაზარი შემცირებული მოხმარების გამო ვერ ითვისებდა, კომპანიამ რე-ექსპორტზე მოახდინა მინიმალური საერთო მარჟით.
რეექსპორტზე გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(5,252,522)	(1,533,770)	242.5%	
საერთო მარჟა რეექსპორტზე გაყიდვებიდან	1.0%	8.0%	-88.1%	
მიწოდების ხარჯების თანაფარდობა ადგილობრივ რეალიზაციასთან	3.3%	2.5%	34.0%	ქსელურ მარკეტებში მზარდი გაყიდვების კვალდაკვალ გაიზარდა მარკეტინგული დანახარჯები.
ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა ადგილობრივ რეალიზაციასთან	1.9%	1.6%	20.1%	გაიზარდა ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ანაზღაურების ხარჯი.
EBITDA (წმინდა მოგება ფინანსურ ხარჯებამდე და ფინანსურ შემოსავლებამდე, გადასახადებამდე და ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებამდე)	2,852,271	3,452,120	-17.4%	
EBITDA-ს მარჟა	5.0%	5.9%	-15.1%	
წმინდა მოგების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან	10.1%	12.3%	-17.5%	

ეფექტურობის მაჩვენებლები

ცხრილი 2	2018	2017	ცვლილება %	მენეჯმენტის კომენტარი
აქტივების ბრუნვა (ამონაგების თანაფარდობა მთლიანი აქტივებთან)	2.5	2.4	3.5%	მთლიანი აქტივების და სასაქონლო მარაგების ბრუნვა არსებითად უცვლელია. ხორცის მოხმარების და გაყიდვების შემცირების გამო, გაიზარდა პროდუქციის კრედიტზე გაყიდვები, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მომწოდებლებთან ანგარიშსწორების ვადის გაზრდა. ცვლილებები ნორმის ფარგლებში და არ არღვევს კონტრაქტუალური გადახდის პირობებს.
სასაქონლო მარაგების ბრუნვა (ამონაგების თვითღირებულების თანაფარდობა საშუალო სასაქონლო მარაგებთან)	7.2	7.7	-5.6%	
სავაჭრო დებიტორების ბრუნვა (ამონაგების თანაფარდობა საშუალო სავაჭრო დებიტორებთან)	9.2	14.9	-38.3%	
სავაჭრო დებიტორების დღეები	39.7	24.5	62.0%	
სასაქონლო მარაგების დღეები	50.4	47.6	5.9%	
სავაჭრო კრედიტორების დღეები	51.5	40.3	27.9%	
ფულად გარდაქმნის ციკლი	38.6	31.8	21.3%	

ლიკვიდურობის მაჩვენებლები

ცხრილი 3	2018	2017	ცვლილება %	მენეჯმენტის კომენტარი
მოკლევადიანი აქტივების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან	1.3	1.1	20.1%	გაუმჯობესებულია კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლები. მოკლევადიანი აქტივები შემცირებულია 1,582 ათასი ლარით, ხოლო კლება მოკლევადიან ვალდებულებებში 4,133 ათასი ლარია
სწრაფი თანაფარდობა (მოკლევადიანი აქტივების თანაფარდობა მოკლევადიან ვალდებულებებთან სასაქონლო მარაგების გარეშე)	0.9	0.6	40.4%	

კაპიტალის და ფინანსური კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები

ცხრილი 4	2018	2017	ცვლილება %	მენეჯმენტის კომენტარი
მთლიანი ვალდებულებების თანაფარდობა საუთარ კაპიტალთან	1.4	2.6	-45.3%	გაუმჯობესებულია კომპანიის კაპიტალის მჩვენებლები. კაპიტალი შეიცვალა 2018 წლის წმინდა მოგებით. წლის განმავლობაში განაწილებული დივიდენდები წმინდა მოგების 28%-ს შეადგენს. შემცირებულია ვალდებულებები 4,133 ათასი ლარით, მათ შორის სასესხო ვალდებულებების შემცირება 1,736 ათასი ლარია.
სასესხო ვალდებულებების თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან	0.7	1.3	-43.2%	
EBITDA-ს თანაფარდობა საპროცენტო ხარჯებთან	10.3	10.7	-4.5%	

განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია შესთავაზოს ქართველ მომხმარებელს და გადამამუშავებელ ინდუსტრიას მაღალი ხარისხის ხორცი და ხორცპროდუქტები სამართლიან ფასად.

მენეჯმენტი ორიენტირებულია გააუმჯობესოს კომპანიის რესურსების მართვის და ოპერაციების ეფექტურობა, და გაზარდოს ბაზრის წილი საქართველოს ხორცის ბაზარზე.

საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, 2019 წელს კომპანიამ დასავლეთ საქართველოს ოპერაციების დიდი ნაწილი ქალაქ ფოთში იჯარით აღებული მეურნეობის ნაცვლად ამავე ქალაქში განთავსებულ საკუთარ სამაცივრე მეურნეობაში გადაიტანა.

დაგეგმილია კომპანიის ახალი ლოგისტიკური ცენტრების გახსნა. მიმდინარეობს და სავარაუდოდ 2020 წელს დასრულდება კომპანიის ახალი სამაცივრე მეურნეობის მოწყობა ქალაქ თელავში, რომელიც მთლიანი რეგიონის მომარაგებას უზრუნველყოფს.

შპს გამა

ძირითადი საქმიანობის აღწერა

შპს გამა (შემდგომში კომპანია), რომელიც შპს კასკო 2015-ს შვილობილი კომპანიაა, ოპერირებს უძრავი ქონების განვითარების და მართვის ბაზარზე. კომპანიის მფლობელობაშია 7,208 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სადაც მიმდინარეობს ბიზნეს ცენტრის მშენებლობა/განვითარება. კომპანია მშენებლობის ნაწილში არ მონაწილეობს (სამშენებლო სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანიები ასრულებენ) და მისი საქმიანობა მხოლოდ მართვით შემოიფარგლება.

ბიზნეს მოდელი

პროექტის დასრულების შემდეგ კომპანია იჯარით გასცემს ან გაასხვისებს არსებულ კომერციულ და საოფისე ფართებს. დასრულებული კომპლექსის ოპერირება იქნება კომპანიის ძირითადი საქმიანობა.

კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის წლიური ხარჯები 2018 წლის განმავლობაში შემოიფარგლება ქონების გადასახადით - 8,075 ლარის ოდენობით. შემოსავლები 2018 წელს კომპანიას არ ჰქონია.

კომპანიის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის სავარაუდო საბაზრო ღირებულება შეადგენდა 5,523,202 ლარს 2014 წლის 12 სექტემბრის მდგომარეობით (3,171,520 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში 1.7415 ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით). სავარაუდო საბაზრო ღირებულება გამოთვლილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შეფასების მიხედვით.

განვითარების გეგმები

2019 წელს დაიწყო კომპანიის მიწის ნაკვეთზე კომპლექსის განვითარების სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანია - დომუს დეველოპმენტი ასრულებს. მმართველობის ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის პროექტზე სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და პროექტის დასრულება 2022 წლისთვის იგეგმება.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი

2018 წელს შპს კასკო 2015-ის (შემდგომში კომპანია) გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილს კრედიტზე გაყიდვები შეადგენდა. თუ კომპანიის კლიენტები დადგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ შეასრულებენ ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს, კომპანიას შეეძლება სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას. ეს წარმოშობს საკრედიტო რისკს, რომლის შედეგადაც კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემის წინაშე და ვერ შეძლოს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

საკრედიტო რისკს კომპანია ძირითადად პრევენციული კონტროლის პროცედურებით მართავს. მსხვილ საბითუმო კლიენტებთან დავალიანების ნაშთი ინდივიდუალურად, ყოველი შესყიდვისას განიხილება, ხოლო შედარებით მცირე კლიენტებს კომპანია სტანდარტულ გადახდის პერიოდს სთავაზობს, რაც გულისხმობს ბოლო 1 თვის განმავლობაში დაგროვილი დავალიანების ნაშთის სრულად დაფარვას ყოველი თვის 10 რიცხვში.

განგრძობით რეჟიმში ხდება დავალიანების თანხის შედარება კლიენტებთან შედარების აქტების საშუალებით. ასევე განგრძობით რეჟიმში მიმდინარეობს კომპანიის დებიტორული დავალიანების კონტროლი, ხდება ვადაგადაცილებული ინვოისების იდენტიფიცირება და მუშაობა პრობლემურ კლიენტებთან ვალდებულებების გასასტუმრებლად.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ადგილობრივი სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხარისხობრივი ანალიზი.

ცხრილი 5 - ადგილობრივი დებიტორული დავალიანების გაშლა ხანდაზმულობის მიხედვით (ლარი)	31.12.2018	% მთლიანიდან
1 დან 30 დღემდე	3,803,475	67.2%
30 დან 45 დღემდე	849,100	15.0%
45 დან 60 დღემდე	445,333	7.9%
60 დან 90 დღემდე	212,450	3.8%
90 დან 120 დღემდე	80,246	1.4%
120 დღეზე მეტი	267,177	4.7%
ჯამი	5,657,781	100%

დებიტორული დავალიანებიდან, რომლის ხანდაზმულობაც აჭარბებს 120 დღეს, 34,562 ლარის დავალიანება გაუფასურებელია, ხოლო დავალიანების დარჩენილი ნაწილი სრულად არის შეგროვებული კომპანიის მიერ წინამდებარე ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე.

კომპანია განგრძობით რეჟიმში აკონტროლებს საკუთარი ფულადი სახსრების ნაშთს და ლიკვიდურობის მაჩვენებლებს და ცდილობს მომწოდებლებთან და სახელმწიფოსთან ანგარიშსწორებისთვის საკმარისი თანხა შეინარჩუნოს. საბრუნავი კაპიტალის ფინანსირების ძირითადი წყარო გაყიდვებიდან მიღებული თანხებია (კონტროლის პროცედურები და სავაჭრო დებიტორების ხარისხის ანალიზი აღწერილია **საკრედიტო რისკი**-ს სექციაში). გარე წყაროებით დასაფინანსებლად კომპანია საბანკო საკრედიტო ხაზს იყენებს, რომლის ლიმიტი და სხვა მნიშვნელოვანი პირობები ყოველწლიურად ახლდება კომპანიის საჭიროებებიდან გამომდინარე.

კომპანიის ლიკვიდურობის და ფინანსური კრედიტუნარიანობის მაჩვენებლები 2018 წლის განმავლობაში გაუმჯობესებულია (იხილეთ დეტალურად: ***კომპანიის შედეგები, ფინანსური მდგომარეობა, ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები***)

საბაზრო რისკი

საბაზრო ფაქტორების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერირებაზე. ძირითადი საბაზრო ფაქტორები მენეჯმენტის შეფასებით არის: ხორცის ფასები მსოფლიო ბაზარზე; და ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.


ფასების ცვლილების რისკი მსოფლიო ბაზარზე

2018 წლის საწყისი და საბოლოო ფასებს შორის დიდი სხვაობა არ ყოფილა, თუმცა წლის განმავლობაში ფასებზე რამდენიმე ფაქტორმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. რყევების ძირითადი გამომწვევი მიზეზი ჩინეთსა და აშშ-ს შორის დაძაბული სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა იყო. მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წლის მესამე კვარტალში აფრიკული ლორის გრიპის გავრცელებამაც.

ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია საბაზრო ფასების ცვლილების რისკის დაზღვევის ინსტრუმენტებთან წვდომა და შესყიდვები მიმდინარე საბაზრო ფასად ხორციელდება, თუმცა კომპანია ცდილობს მარაგები დააგროვოს მაშინ, როცა საბაზრო ფასები შედარებით დაბალია და გასაყიდი ფასები წლის განმავლობაში სტაბილურ ნიშნულზე შეინარჩუნოს.

გრაფიკზე ქვემოთ ჩანს, თუ როგორ იცვლებოდა ხორცის ფასები ძირითად სახეობებზე 2018 წლის განმავლობაში.

გრაფიკი 10 – ხორცის მსოფლიო ფასების ინდექსები (01.01.2018 = 100)



წყარო: ჯგუფის კალკულაცია Bloomberg-ის და IMF-ის მონაცემებზე დაყრდნობით


სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. აღნიშნული რისკი კომპანიის ოპერაციებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რადგან კომპანიის შემოსავლები ქართულ ლარშია დენომინირებული, ხოლო შესყიდვები უცხოური ვალუტით - აშშ დოლარით და ევროთი ხორციელდება.

ამ ეტაპზე კომპანია აქტიურად არ იყენებს საბაზრო გაცვლითი კურსის ცვლილების რისკის დაზღვევის ინსტრუმენტებს. თუმცა კომპანია აქტიურად იყენებს საბანკო საკრედიტო ხაზს სავალუტო რისკის სამართავად. 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ 229,636 ლარის შემოსავალი მიიღო წლის განმავლობაში განხორციელებული სავალუტო ოპერაციებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავალუტო გადაფასებიდან.

გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია ქართული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დინამიკა ძირითად ვალუტებთან მიმართებაში 2018 წლის განმავლობაში.


გრაფიკი 11 – ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, 2018 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრაფიკზე ქვემოთ მოცემულია ქართული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსების დინამიკა ძირითად ვალუტებთან მიმართებაში 2018 წლის განმავლობაში.

გრაფიკი 11 – ქართული ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით, 2018 წელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შპს კასკო 2015

დირექტორი: მამუკა მინდიაშვილი